საქართველოს მთავრობის

დადგენილება №452

2023 წლის 20 ნოემბერი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ანგარიშისადმი ძირითადი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ანგარიშისადმი ძირითადი მოთხოვნები“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის – რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების შეფასებისადმი ძირითადი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 მარტის №124 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი – რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ანგარიშისადმი ძირითადი მოთხოვნები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „ტექნიკური რეგლამენტი – რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ანგარიშისადმი ძირითადი მოთხოვნები“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) შემუშავებულია „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ და „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

2. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს ძირითად მოთხოვნებს რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ანგარიშის მომზადების, განახლების, წარმოებისა და გამოყენების მიმართ.

3. ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება ვრცელდება საქართველოში არსებულ რადიოაქტიური ნარჩენების სამარხზე, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, განეკუთვნება მაღალი რადიაციული რისკის ობიექტს.

4. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები შესასრულებლად სავალდებულოა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის მფლობელთათვის.

მუხლი 2. ტექნიკური რეგლამენტის მიზანი

ტექნიკური რეგლამენტის მიზანია რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ადეკვატური დონის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1. ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ალბათური მეთოდი – ანალიზის მეთოდი, რომლის დროსაც განიხილება მაღალი ალბათობის შემთხვევა, რომელსაც გარკვეული გავლენა შეიძლება, ჰქონდეს განხორციელებულ საქმიანობაზე და მათემატიკური გათვლებით განისაზღვრება ამ შემთხვევის განვითარების შედეგები;

ბ) გარემოზე არარადიოლოგიური ზემოქმედება – ზემოქმედება, რომელიც მომდინარეობს სხვა სახიფათო ნივთიერებისგან (მაგ.: ქიმიური ნივთიერებები) ან/და ობიექტის მშენებლობის, ოპერირებისა და დეკომისიის ზემოქმედება;

გ) დეტერმინირებული მეთოდი – ანალიზის მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება პარამეტრების გარკვეული ცალსახა მნიშვნელობები და რომლის შედეგად მიიღება ცალსახად განსაზღვრული სიდიდეები;

დ) მართვის სისტემა – ერთიანი სისტემა, რომელშიც ინტეგრირებულია ორგანიზაციის ყველა ელემენტი ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ეს ელემენტები მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, რესურსებსა და პროცესებს;

ე) უსაფრთხოების ანალიზი – უსაფრთხოების შეფასების ნაწილი, რომელიც მოიცავს ალბათური და დეტერმინირებული მეთოდებით განხორციელებულ სხვადასხვა რაოდენობრივ ანალიზს, რათა შეფასდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები;

ვ) უსაფრთხოების ზომები – ქმედებები, რომელთა მიზანია ინციდენტების პრევენცია, ხოლო განვითარების შემთხვევაში – შედეგების მიტიგაცია;

ზ) უსაფრთხოების კრიტერიუმი – ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სამიზნეები და სპეციფიკური ზღვრული ნორმები (მაგ.: დოზური ზღვრები);

თ) უსაფრთხოების ფუნქციები – ობიექტის უსაფრთხოებისთვის დადგენილი სპეციფიკური მიზნები, რომელთა მიღწევა აღმოფხვრის ან შეამცირებს რადიოლოგიურ ზემოქმედებას როგორც ნორმალური ფუნქციონირებისას, ასევე ავარიულ შემთხვევებში;

ი) საოპერაციო უსაფრთხოება – სპეციფიკები (ლიმიტები, კონტროლი და პირობები), რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ობიექტის უსაფრთხო ოპერირება;

კ) სიღრმისეული დაცვა – სხვადასხვა აღჭურვილობისა და პროცედურების იმგვარი იერარქია, რომელიც უზრუნველყოფს ინციდენტების პრევენციას და გარემოს, მოსახლეობასა და მომსახურე პერსონალსა და რადიოაქტიურ

მასალებს შორის არსებული ბარიერების შენარჩუნებას ოპერირების დროს, ხოლო გარკვეული ბარიერების შენარჩუნებას ავარიულ შემთხვევაშიც;

ლ) სცენარი – პოსტულირებული ან დაშვებული პირობები ან/და მოვლენები, რომლებიც უნდა მოდელირდეს (მაგ.: შესაძლო ავარიული შემთხვევა ობიექტზე ან ობიექტის ან მისი შემოგარენის შესაძლო სამომავლო განვითარება).

2. ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში.

მუხლი 4. უსაფრთხოების ანგარიში

1. რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა) შინაარსს;

ბ) უსაფრთხოების სტრატეგიას;

გ) ობიექტის აღწერილობას;

დ) უსაფრთხოების შეფასებას;

ე) ლიმიტებს, კონტროლსა და პირობებს;

ვ) იტერაციასა და დიზაინის ოპტიმიზაციას;

ზ) სიცხადის ნაკლოვანების მართვას;

თ) უსაფრთხოების ერთიან დასაბუთებას.

2. უსაფრთხოების შეფასების შედეგები და დასკვნები უნდა დოკუმენტირდეს უსაფრთხოების ანგარიშის ფორმით, რომელშიც ასახული იქნება ობიექტის ან საქმიანობის კომპლექსურობა და მასთან დაკავშირებული რადიაციული რისკები, რათა დადგინდეს, რომ ობიექტი ან საქმიანობა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

3. უსაფრთხოების ანგარიშში უნდა გაიწეროს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროცედურა.

4. რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ანგარიში ექვემდებარება დამოუკიდებელ შემოწმებას.

5. უსაფრთხოების ანგარიში უნდა განახლდეს ყოველ 10 წელიწადში და, საჭიროების შემთხვევაში, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

6. უსაფრთხოების ანგარიში, რომელიც არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს (შემდგომში – მარეგულირებელი ორგანო) გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, ობიექტის მფლობელის მიერ უნდა მომზადდეს ობიექტის პროექტის ადრეულ ეტაპზე და მოხდეს მისი მუდმივი წარმოება ობიექტის დახურვამდე მთელი პერიოდის განმავლობაში.

7. რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ანგარიშში დასაბუთებული უნდა იყოს, თუ როგორ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ობიექტის მართვის სხვადასხვა ეტაპის უსაფრთხოების ყველა ასპექტი და მართვის კონტროლი.

8. უსაფრთხოების ანგარიში უნდა დოკუმენტირდეს ისეთ ხარისხობრივ და დეტალურ დონეზე, რომელიც საკმარისია უსაფრთხოების დემონსტრირებისათვის, რათა ხელი შეეწყოს ნებისმიერ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებასა და უსაფრთხოების ანგარიშისა და უსაფრთხოების შეფასების დამოუკიდებელ შემოწმებასა და დამტკიცებას. დოკუმენტი უნდა იყოს ნათლად გაწერილი და უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების ანგარიშის შემუშავებისას გამოყენებული მიდგომების დასაბუთებას იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ხელმისაწვდომია.

მუხლი 5. ძირითადი მოთხოვნები რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების შეფასების მიმართ

1. უსაფრთხოების შეფასების მთავარი მიზანია, განისაზღვროს, მიიღწევა თუ არა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების ადეკვატური დონე და შეესაბამება თუ არა ის მოქმედ კანონმდებლობას.

2. უსაფრთხოების შეფასება გულისხმობს რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის ყველა ასპექტის შეფასებას. უსაფრთხოების შეფასება ხორციელდება სისტემატურად, რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის მთელი სასიცოცხლო ციკლისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების მანძილზე.

3. უსაფრთხოების შეფასება მოიცავს შემდეგი ასპექტების შეფასებას:

ა) მართვის სისტემა;

ბ) გარემოზე არარადიოლოგიური ზემოქმედება;

გ) დახურვის შემდგომ რადიოლოგიური ზემოქმედება:

გ.ა) სცენარები;

გ.ბ) მოდელები;

გ.გ) კალკულაციები;

დ) საოპერაციო უსაფრთხოება;

ე) ადგილმდებარეობა და პროექტირება.

4. არარადიოლოგიური საფრთხეები, რომელთათვის დადგენილია უსაფრთხოების კრიტერიუმები, უნდა შეფასდეს და მოდელირდეს რადიოლოგიურ საფრთხეებთან ერთად.

5. დახურვის შემდეგ რადიოლოგიური ზემოქმედების შეფასების ძირითადი კომპონენტებია:

ა) შეფასების შინაარსის დაკონკრეტება;

ბ) სამარხის სისტემის აღწერა;

გ) სცენარების შემუშავება და დასაბუთება;

დ) მოდელირებების განსაზღვრა და იმპლემენტაცია;

ე) სიმულაციები და შედეგების ანალიზი;

ვ) უსაფრთხოების კრიტერიუმების შედარება.

6. რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების შეფასება უნდა განხორციელდეს/განახლდეს რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის სასიცოცხლო ციკლისა და პრაქტიკული საქმიანობის შემდეგ სტადიებზე:

ა) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ადგილმდებარეობის შერჩევა;

ბ) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის დაპროექტება;

გ) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის მშენებლობა;

დ) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ექსპლუატაციის დაწყება;

ე) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის პროექტირების ან/და ექსპლუატაციის მოდიფიცირება;

ვ) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ოპერირების გახანგრძლივება;

ზ) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ოპერირების შეწყვეტა;

თ) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის დახურვა;

ი) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ექსპლუატაციის დასრულება;

კ) რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ექსპლუატაციის დასრულების შემდეგი ეტაპი.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული სტადიების გარდა, რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების შეფასება უნდა ჩატარდეს ექსპლუატაციის განმავლობაში არანაკლებ 10 წლის პერიოდულობით ან/და მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნით.

8. რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების შეფასება უნდა განახორციელოს ობიექტის მფლობელმა.

მუხლი 6. უსაფრთხოების ანალიზი

1. უსაფრთხოების შეფასება მოიცავს უსაფრთხოების ანალიზს, ხოლო უსაფრთხოების ანალიზი – ობიექტის ოპერირებასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეების შეფასებას.

2. უსაფრთხოების ანალიზში უნდა შეფასდეს ობიექტის საქმიანობა ყველა ოპერაციულ და, საჭიროების შემთხვევაში, პოსტოპერაციულ ფაზაში.

3. უსაფრთხოების ანალიზი ეფუძნება:

ა) მაიონებელი გამოსხივების სცენარების განვითარებასა და დასაბუთებას;

ბ) მოდელების ჩამოყალიბებასა და საჭირო მონაცემების იდენტიფიცირებას;

გ) შედეგების შეფასებასა და გამოთვლას;

დ) უსაფრთხოების ღონისძიებებისა და საინჟინრო ასპექტების ანალიზსა და მათ შედარებას უსაფრთხოების კრიტერიუმთან.

4. უსაფრთხოების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს დეტერმინირებული ან ალბათური მეთოდით.

5. დეტერმინირებული ან ალბათური მეთოდის გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საფეხურებრივი მიდგომა.

6. სიცხადის არარსებობა, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ზეგავლენა უსაფრთხოების ანალიზის შედეგებზე ან/და მის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, უნდა შეფასდეს სიცხადის ნაკლოვანებისა და სენსიტიურობის ანალიზებში.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სიცხადის ნაკლოვანებისა და სენსიტიურობის ანალიზები უნდა იქნეს გათვალისწინებული უსაფრთხოების ანალიზის შედეგებსა და მის შედეგად მიღებულ დასკვნებში.

8. სიცხადის არარსებობის წყარო შეიძლება იყოს:

ა) მოდელირებასთან დაკავშირებული სიცხადის არარსებობა;

ბ) მონაცემებთან ან/და პარამეტრებთან დაკავშირებული სიცხადის არარსებობა.

მუხლი 7. სიღრმისეული დაცვა

1. სიღრმისეული დაცვა გულისხმობს ობიექტის პროექტში რამდენიმე უსაფრთხოების ფუნქციის გათვალისწინებას.

2. სიღრმისეული დაცვის მიზანია:

ა) ადამიანის შეცდომით გამოწვეული მოვლენებისა და სისტემის კომპონენტის მწყობრიდან გამოსვლის კომპენსირება;

ბ) დამცავი ბარიერების ეფექტიანობის შენარჩუნება ობიექტისა და თავად დამცავი ბარიერების დაზიანების საფრთხის აღმოფხვრით;

გ) ავარიის შედეგად დამდგარი ზიანისაგან პერსონალის, მოსახლეობისა და გარემოს დაცვა, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამცავი ბარიერები არ არის სრულად ეფექტიანი.

3. სიღრმისეული დაცვა ხორციელდება მთელი რიგი თანმიმდევრული და დამოუკიდებელი დაცვის დონეების კომბინაციით და მხოლოდ მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი გარემოსა და მოსახლეობაზე მავნე ზემოქმედება.

4. უსაფრთხოების შეფასებაში უნდა დადგინდეს სიღრმისეული დაცვის ადეკვატური დონეები:

ა) დამცავი ბარიერებისა და სხვა უსაფრთხოების ფუნქციების იდენტიფიცირებით;

ბ) დამცავი ბარიერებისა და სხვა უსაფრთხოების ფუნქციების მრავალფეროვნების დასაბუთებით;

გ) ნორმალურ და ავარიულ პირობებში დამცავი ბარიერებისა და სხვა უსაფრთხოების ფუნქციების მედეგობის დასაბუთებით;

დ) საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოებაში დამცავი ბარიერებისა და სხვა უსაფრთხოების ფუნქციების რაოდენობრივი შეფასებით;

ე) იმის დემონსტრირებით, რომ რომელიმე ერთი ბარიერის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ობიექტის უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი საფრთხე არ დაემუქრება.